

მ ა ს ტ რ ი



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

13 აპრილს

გ ა მ ო ო ც ე მ ა

№ 15

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სემი (3) მანეთი, სხვა გვადით ხელის მოწერა ან მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს ღირს სემი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღსანიშნავად: ტიფლის. В редакцію „Театръ“.



აღვრება

ძვემ ოკროს ფერი სხივები გაჰფინა მინდორ-ველადა, მოჰკაზმა, ააყვავილა ბუნება მრავალ-ფერადა; ტოროლა მღერის ხმა-ტკბილად: აწ გაზაფხული დადგაო, იხარე ყველა არსებაე, იხარე: „ძრისტე აღსდგაო“.

ღილის ნიაემა კეკლუცმა ტკბილად, საამოდ მოჰბერა და ბუჩქის ძირში გაშლილი ყვავილი ააელფერა; მღერს იაღონი: აწ დათბა და ხეში წყალი ჩადგაო; იხარე სოფელ-ქვეყანაე, იხარე: „ძრისტე აღსდგაო“!

მთესვარი მინდვრად გავიდა, ახსენა წმინდა ლეთება და მისი გული საბრალო სიამის ჯაჭვით დაეხა; მსმის: გაჰქრება შიმშილი, რაც რომ გარშემო დადგაო. იძახის ყველა არსება, იძახის: „ძრისტე აღსდგაო“!

ქურდლის ბაჰია გასულა მინდვრად და სცმუც-ნის მწვანესა უქრის ნიეი და არხეეს ფოთლებს, ხავერდის მგვანესა, ჰიკვიცებს მარდი მერცხალი: ზამთარი განზე გადგაო; იხარე სოფელ-ქვეყანაე, იხარე: „ძრისტე აღსდგაო“!

მალა ცაზედაც გარსკლავნი გუნდ-გუნდად იკრიბებიან, მადმოსტკერიან ქვეყანას და რალაც ენებით სტკებნიან, თითქოს რომ უხმოდ ამობენ: დრო სანეტარო დასდგაო; იხარე ცა და ქვეყანა, იხარე: „ძრისტე აღსდგაო“!

ცახელი.

ჩვენ კუბლიცისტებთა მიმართ.

საკვირველია, რა გვარი მიმართულება მიიღო ამ უკანასკნელს დროს ჩვენმა მედიდურმა ლიტერატურამ ბ. ი. ხონელის თაოსნობით, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოუდგა რალაც უმგვან, უწინა და უმნიშვნელო ინტრიგებს და ამით გადასტყორცნა ახარი განხეთქილებისა მოპირდაპირეთ ბანაკში. მართალია, ყოველთვის და ყოველ დროს ჰქონდა აღვილი ჩვენ ლიტერატურაში ამ გვარ მიმართულებას, მაგ-

რამ ეხლა მან მიადწია უმაღლეს ფეხსადგურამდე. ეს მით უფრო საკვირველია და მასთან სამწუხაროც, რომა «ქნიაზმა ილიამ» უმტყუნა თავისი გაზეთის პირველი ნომრის წინა სტატიის შინაარსს, რომელიც ზეციურ, დამამშვიდებელ მანანად მოგვევლინა და, ისრე ქუხილის მზგავსი სიტყვებით, გვპირდებოდა პირადობის განძევას მისის ორლანოიდამ. ხოლო უნდა მოგახსენოთ გამოტყუილი, ჩვენ ამ გაზეთის გამოხელამდინაც ბევრი იმედი არ გექონია მზე და გამოხელის შემდეგ ხომ სულ გაცრუედა ეს იმედებიც. — ჩვენ როდესაც შევიტყვეთ „ქურნალის ივერიის“, რომელიც, როგორც მოგვხსენებთ, ერთ იოტისოდნადაც ვერ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნილებას, ყოველ დღიურ გაზეთად გარდაკეთება, „ქნიაზ ილიას“ რედაქტორობით, თ. ნ. ბარათაშვილის სიტყვები მოგვაგონდა:

«სასაცილოა ბერი კაცი, რომ ყმაწვილობდეს და საბრალოა, რომ ყმაწვილი ბერიკაცობდეს!»

ჟველას, რასაკვირველია, მოგვხსენება, რომა გაზეთი «ივერია» აღმოცენდა «ღროების» ნატამალზე და ამ შეხედულებას სრულებით ამართლებს იგი მით, რომ აზრის ნატამალსაც არ გვიჩვენებს. მის მაგიერ, რომ გაზეთს მოეხვევა საზოგადო სიმბატია, ის გამოუდგა, რაღაც წერიმალ ინტრიგებს და მთელი გვერდები უნდება უაზრო, უშინაარსო პოლემიკას. ღილ! ქსლა ჩვენ quasi ლიტერატორებთ შორის ატეხილა bellum omnium contra omnes, — хаосъ и арена безталковщины. და თუ ეს მიმართულება მალე არ მოისპო, თამამალ შემიძლიან მოგახსენოთ, ამ მოკლე ხანში ორი აღარ წაიკითხავს ჩვენს გაზეთებს, ვინაიდან მათში არ მოიპოვება ტენის მასალა და ბ. ი. ხონელმა თავის ბიოლრაფია ეგონებ გაათავა.

რით დაიმსახურა ბ. ი. ხონელმა და მისმა მოპირდაპირებმა ისეთი მსოფლიო გმირების სახელი და მნიშვნელობა, რომ გაუწყნარებლივ ყიყინებენ ბატებსავეთ თავიანთ პირადობაზე და ხდიან ამ პირადობას საზოგადო საინტერესო საგნად. ღრო არის ეგონებ, რომ არ დაუეციანონ ბ.ბ. რედაქტორებმა თავიანთი veto და მით მოსპონ ეს ულაზათო სიტყვების კამათლობა, რომელიც თავს აბეზრებს და ზიზღს ჰვერის მკითხველ საზოგადოებას. სამწუხარო ის არის, რომ ბ.ბ. ღავით სოსლანი და სილოვანი აჰყვენ ბ. ი. ხონელს, რომელიც ღიდრავლიური საქმეებით, ვაი ვავლახით და «ქაან წყვეტით» (ეს თვით მისი საყვარელი სიტყვაა), სწურავს თავის ტენინდამ ნახევ-

რად დაძველებულს აზრებს და უფრო ეხერხიანება ლანძღვა-თრევა, რომლითაც ცხადად გვიმტკიცებს მის კინტოკრატულ მიმართულებას და რომელმაც რუსთველის პრინციპი ესრედ გარდააკეთა: «მოკლე სიტყვა გრძელად ითქის, ხონელია ამით კარგია!.. მით სამწუხარო მოვლენად ჩვენის ლიტერატურისათვის გამხდარა ის გარემოება, რომ ყოველი გზა დაბნეული და წყალ-წალბეული პირი, რომელთაც მოუბოჭიათ, ეთომ მათი აზრით, საზოგადო იღვების წვერები, ებუდებიან რედაქციას, როგორც ქარიშხლით გამომფრთხალი მხეცი ეფარება სოროს და ლიტერატორობენ, ნამდვილად კი გარდა ბაშბუზუყებისა აზაფერს არ წარმოგვიდგენენ. —

ჩვენი აზრი იყო, ამ წერილში გამოგვეხატა საზოგადო ღრტენის გამოხმობა და რამოდენადაც ავასრულებთ ეს საჯოს მკითხველმა საზოგადოებამ. არ გვეთქვა რაიმე არ მოხერხდებოდა, ენაიღვან ძრიელ სარგებლობენ ჩვენის მოთმინებით ჩვენივე სუტლიტერატორები და პუბლიცისტები, რომლებიც, მის მაგიერ რომ შეეხონ საზოგადო ინტერესებს აკრელებენ ჩვენი საბრალო ორი გაზეთის გვერდებს საზიზღარი ლანძღვა-გინებით. შეიძლება იმათ და უფრო ბ. ი. ხონელს იქამდის ჰქონდესთ გაფუჭებული ესტეტური გრძნობა, რომ ამას ვერ გრძნობდენ, მაშინ საჭიროა „ქნიაზ ილია“ დაწყნარებდეს ამ გამოხმობარ ბაციკუყუს, რადგანაც მას მაინც უნდა ესმოდეს ესტეტური გრძნობა და ლიტერატურული წესები. სირცხვილია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ორი გაზეთი ვერ მოთავსებულან ჩვენში; მით უფრო სირცხვილია, რომ ამ გაზეთების ლიტერატურული მოღვაწეობა განსხვავებულია. და თუ ჩვენი პუბლიცისტები არ მოსპობენ თავიანთ ყიყინს, არ იქმნებოდა ურიგო ჩაწერონ კინტოკრატებში და იმათ მიმიუყონ თავიანთი გესლიანი ენის ნაწარმოები და ჩვენ კი მოგვისვენონ.

ეს წერილი გახლავთ ჩემგან პირველი და უკანასკნელი, მაგრამ ამითი არ წარმოიღვინონ ბ. ი. ხონელმა და მისმა მომხრეებმა, რომ მე ვაღვიარებდე ჩემს უძლურებას. შეიძლება ბ. ი. ხონელისათვის მძიმე იყოს საჩქმელი მონომახისა, მაგრამ ნუ დაივიწყებს იგი, რომ მონომახისათვის სრულებათაც არ იყო სამძიმო მისი საჩქმელი.

ბ. აფისუბნეჯი.

Handwritten signature and notes in red ink, including the name "ბ. აფისუბნეჯი" and some illegible scribbles.

ახალი ამბები

7000 სრული... ი.ძნ

◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ერთ ახალგაზდა ქართველ პროვიზორთაგანს შეუდგენია ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა წამლების და ბალანების სახელები. ამ შედგენილში მომეტებული ნაწილი კი ქართულის ძველის კარაბადიმებიდამ შეუტანია და გვაცნობებენ, რომ ეს შრომა საკმარისად დასაფასებელი შრომა იქმნება ქართულს მწერლობაში.

◆ შარშან პარიჟში, ცალკე წიგნათ გამოვიდა განსვენებულის არმენისტი დიულოარიესაგან დაწერილი წიგნების კატალოგი. ეს კატალოგი ამ მოკლეს დროში ჩვენ ენახეთ და მასში ბევრი ისეთი წიგნებიც აღმოჩნდა, რომელნიც პირ-და-პირ საქართველოს შეეხება და ამის გარდა აქვე არის მოხსენებული ბროსე, ჩუბინოვის და კლაპორტისაგან დაწერილი ზოგიერთი წიგნები საქართველოს შესახებ.

◆ სომხურს გაზეთ „არძაგანქში“ ამას წინეთ იბეჭდებოდა ნემენცურიდამ ნათარგმნი წერილები, შესახებ საქართველოსი და სომხეთისა. ეს წერილები დაწერილია ბ. ლეიქენშკაგერისაგან და დაბეჭდილია ბერმანიულს გაზეთ „ლიფრაიში“. შევიტყუეთ, რომ საქართველოს შესახებ ქართულადაც სთარგმნიანო.

◆ ბ. დ. ჩუბინაშვილისაგან შედგენილი რუსულ ქართულ ლექსიკონი დღეს მთელს თბილისშია მოფენილი და ფიქრი არ არის, რომ მალეც გასაღდება ეს წიგნი. უნდა შევნიშნოდ კი, რომ ვ მ. 60 კ. ცოტა ძვირია და მრავალთ მოსწავლე ყმაწვილებს სრულიად ვერ შეეძლებათ ამის შეძენა. ჩვენთვის საჭიროა ისეთი რუსულ ქართულ ლექსიკონი, რომელსაც ფასი 1 მ. 50 კ. მეტი არ ჰქონდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთის ფასით დანიშნული წიგნი ერთობ მალე გასაღდება და მეორე მესამე გამოცემაც განმეორდება.

◆ ამ ბოლოს დროის წვიმებმა ისე იმოქმედა მთელი თბილისის არე მარეზე, რომ დღეს საითაც კი გაიხედავთ ყველგან მშვენივრით საცხე სიმწვანე ჰვარავს და კაცის თვალს სიამოვნებით აღსავსებს.



✓ * *

მგოსანო! მესმის ეგ გულსაკლავი შენი სიმღერა და აღელვებულს არ მასკენებს მეც გულის ძგერა;


მსურის შენს სმას შეკავთო მეცა სიმღერა და მით, შეგნესარემ, გაგოგნატო მწარ ბედის წერა.

მესმის სმა ტკბილი, იგივე მწარე, გულის საკლავი; მდღონებს, მტანჯავს, შენატრებს მწარე საფლავი. არა მშორდება შავი ფიქრი, ბოროტი—ავი, აწმეო ცსოგრება შეუბრალი და გულ საკლავი

ხან გამოსცემენ სიმნი უღრით სმას მოსაღსენათ, ხან დამაფიქრათ, აღმაშფოთრათ და მოსაწყენლათ, ხან წარსულისა მოგონებით გულის სატკენლათ, ხან ერთის წამის გასართობლათ—კითამ საღსენათ.

ჰმარა, შესწვეტიე, მოსკვენე აწ ჩემი სმენა, გლოვის ზარვით გულს მსვდება, არ ძამდომს თმენა! ნუ მამადუმე, კითა მუნჯვი-დამიბი ენა, ნუ მაწვევლინე, უბედურსა, მე ბედის წერა!..

ქნ. ნინო ორბელიანისა.



ძალი ტინტოკრელო

(ამბავი)

თხზ. ვილარსასი.

ბორდოს მუხეუში დღესაც იმყოფება საუცხოო სურათი ლეონ კონესი: ტინტორეტო, ჰსატკას სურათს თავის განსვენებულ ქალისა; ეს—სამწუხარო ფურცელი კენეციის მეთექვსმეტე საუკუნის ისტორიას ეკუთვნის, როდესაც კენეცა ტიცინით ეცილებოდა მხატვრობის სკოლტრას ოლორენცის და რომსა, და ბუტენტავრი, კოროლი აღრიატიელთა, ზღვის კოროლათ იყო წოდებული.

სხანს, მხატვრობა ჰოტიურ კვალს ადგა თავის-დაგვარად, ეს მოგონილი კი არ არის, არამედ ისტორიული შინაარსია, რომელიც ისტორიულსავე სინამდვილეს ითხოვს.

უმშენიერესი ტინტორელო, განსვენებული წინაშე მხატვარ-ამისა, სურათში ის გამგავსება საბრალო ჩვიდმეტი წლის ქალს, წრფელს ატლავს, და თითონ ტინტორეტო, შესეღულობით, სხანს არა უმეტეს ორმოცის ანუ ორმოცდა ათის წლისას.

ეს შეცდომა; მარია რობუსტი, იმისი ქალი, დაიბადა 1560 წ. და გარდაიცვალა 1590 წ. ოცდა ათის წლისა დაბადებულა. მაშა იმისი იყო სამოცდა თვრამეტი წლისა, იმიტომ რომ იგი დაიბადა 1512 წელს.

ისიც ცხადია, რომ რობუსტი, იმისთვის არის ტინ-

ტორეკტო წოდებული, რომ მამა იმისი პირველათ მღებარი იყო კენეციაშია, იგი ტინიანის მოწაფეთ იყო, მაგრამ უკანასკნელს მალე შექმნიებოდა თავისი მოწაფის ნიჭიერებისა, რომლისათვისაც დაეკეტა სასწავლებლის კარები.

ტინტორეტო დიდების მოსპობის შემდეგ გარდაიცვალა ოთხმოცდა-ორი წლისა, ქალის სიკვდილის შემდეგ. ოთხი წელ წადი, იგი ჩათხრობილი და ხუში იყო; შეიკეტებოდა ზოგჯერ მთელი კვირათით სასლში, ჭსატვად და თანა ტირილდა; საბრალო მოხუცებული მსატვარი სტიროდა თავის საყვარელ ტინტორელს, რომელიც ასე ადრე მოსტაცა სიკვდილმა.

თვით ტინტორელს იყო აგრეთვე გამოჩენილი და კეთილი მსატვარი—თათქმას ისეთივე გამოჩენილი, როგორც იმისი მამა. ამ საბრალო მამას უყვარდა იგი განუსაზღვრელის სიყვარულითა; იგი შეადგენდა მთელ იმის ბედნიერებას, მთელ იმას სისარულსა. ქება თავის ქალის ნაწარმოების იმისათვის დაფინის გვირგვინზედ უტბეს იყო, რომლითაც იმისებოდნენ იმისი სურათები. ის და თავისი ქალი შეადგენდნენ ერთ სულაურებას, ისინი მალე იტყობდნენ ერთმანეთის აზრსა და ორივენი ერთმანეთს ამზიადებდნენ შეურაცყოფის დროს მოხუცნი პირებისაგანა, რომელთა მრავლას განთქმული სასიკვდილო თუ ასცდებთან.

როდესაც ისინი ერთათ ათაგებდნენ შრომას, ახალგაზდა ქალი მოსუცებული მამის მუსლზედ ჩამოჯდებოდა სოღმე დასასვენებლათა; ისინი ერთათ იცინოდნენ, ერთათ სკიბდნენ; დღენი ასე მიმდინარეობდნენ მამისა და ქალის როგორც ურთიერთ შორის სიყვარულში, ისეთაც ხელაფებებში.

როდესაც ტინტორეტო, ყოველთვის მოხუცნივან უკან დევნილი, ბრუნდებოდა სასლში, სკვდით სასკე, იმისი ქალი, იმდენათ მალა მდგარი სიყვარულში და მუსიკის ცოდნაში, რადენათაც მსატვრობაში, მოუხდებოდა ფორტოპიანოს და თავის მომსიბლავი სმებით აღტაცებაში მოქყვანდა და სრულებით ამზიადებდა მოსუცებულსა.

მთელი კენეციის აზნაურობა ტინტორელს უყვეთავდნენ თავიანთ სურათებსა: ის იყო თითქმას უმდღეს დასულოვნებული თვით ტინიანზედ სურათების სატკაშია. იმპერატორი მაკსიმილიანი, ისპანიის კოროლი ფილიპე მე-II, კრც გერტოგი ფერდინანდი განუწყობდნენ ოწივად ტინტორელს თავიანთ სასსლშია; მაგრამ იგი ყოველთვის უარსა ჰყოფდა, რომ თავის მამას ვერ მოქმოდებოდა, რომელიც უყვე იმდენათ მოსუცებული იყო, რომ ვეღარ ატარებდა მას უცხო სასსლშია.

ბევრი კეთილი და მშენიერი კაცი თხოვლობდა ტინტორელს სელსა, მაგრამ იგი ყველას უარს ეუბნებოდა;

იმას ვერ ატანა ის აზრი რომ მამის სასლსათვის თავი დაენებებინა.

მაგრამ ერთ იმის თავიანთ მცემელთაგანა, სტოვანო ბელდუიოზომ კი მოასკრსა ჭლირსუბადა იმის საიმედო სატკვასა. მთელი ათი წელიწადი იგი თავის სატროფოს ბალკონის ქვეშ დაეთრეკოდა, და ამოდენ სანში ერთი მეგობრული სიტყვა არა ჭლირსუბია საბრალოს ტინტორელსაგანა. მთელი ათი წელიწადი იგი როგორც აზრდილი უკან სდევდა ყველგანა, სწერაჭდა აღერსიან წერილებს, რომლებშიაც დიდის თავიანთის ცუბით ისსენიებდა ტინტორელს სასკლსა, და ამოდენა სანში მანც ვერ ედირსა გავგონა იმისაგან ერთი სასიყვარულო სიტყვა, რომლითაც სრულებით დასვიდლოკებდა იმის ესოდენ ტანჯვას და ბევრ უბილო ღამის გატარებასა.

მხოლოდ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ მოულობო გული სასტიკ ქალსა.

ერთხელ ერთ კენეციის სამსატვრო მალეკრეთაში სჯიდენ ერთი დოყის სურათის ღირსულობსეკადა, რომელიც ტინტორელს გალამს ეკუთვნოდა. აზრი, როგორც ყოველთვისან, რამდენათმე გაიყო, ზოგნი კრიტიკოსობდნენ ფერის შესამებასა, ზოგნი—სურათის გამომეტყველებასა, ზოგნი ადგილის მორთულობას, ზოგნიც—სურათის ზოზასა. ამ უიეტარ მსაჯულების ცოტა წინათ კი, ოცზედ მეტა მსატვარი აღტაცებაში იყენენ მოსულნი სურათის სიმშენიერის და სინამდვილისაგანა. ამ დროს მოუსლოკდათ ამ უმეტარ მსაჯულებს, ვილც უცხო კაცი და ადვიარა სურათი უვარგისოთ, სრულებით შეურაც ჰყოფდა მსატვარი ქალის ტალანტსა და ამსთანავე წარმოასთქვა რამდენიმე სიტყვა, იმას ტალანტის შესარცხვენათა. უცხო კაცმა განაგრძო ამ სასით თავისი არა კეთილი შენიშვნები, რომ ამ დროს იქ მეოფე ერთმა ასაღვასდა კაცმა, რომელსაც ესენი ყოველივე ესმოდა, მარტყა თავისი სელჯავგი სასეში იმ სასატელ მსაჯულსა.

რასაკუთრელოა კენეციაში, ცსკელს იტალიაში, განსაკუთრებით იმ საუკუნეშია, სლმები არა უანგდებოდნენ თავიანთ ქარქამებში და მსინათვე დანიშნა პირის-პირ შეყრას საღამოთი მდინარე ღიღოს რიყზედა.

გარსკვლავებისაგან უსკათ მოაფინილს შექსედ ორი სლმის ტრიალი კარგათა სსნდა აღრითის ზღვასია და მომაკვდინებელი ბრძოლა შექმნათ ორ გულად კენეციელთა.

ბრძოლა დიდსანს გავრძელდა; ბოლოს ერთი მთოგანი საშინლათ დაუცა ზღვის ნაპირსკედ; ის მალე წაიღეს გონდოლით და მხოლოდ წულიდგან ნინიფას სმალა მოისმოდა ამ კენეციაში მამტკანრებულ ღამეს და ზოგჯერაც შორიდგან გაიგებდით მეგონდოლითა ტკბილ სიმღერასა.

სტეფანო ბელადიოზი—ის არის, რომელსაც უნდა დაეცვა ზატიოსნება და ქველ-მოქმედება ტინტორელისი—ღრმათა ჭქონდა გულში გატარებული სმალი, მაგრამ მანც კადვე ცოცხალი იყო. მეორე დღეს ამ შემთხვევამ დიდი აღიქვითი მოახდინა ვენეციაში, და მალე მიადღწია თითონ ამ შემთხვევის მიხედვით ყურებამდისინაცა.

ტინტორელლო, ძრვილ აღძრულმა ამ გვარ ერთგულობით, გაგზავნა თავისი მამა საბრალო სტეფანოსთან, რომელსაც უთვლიდა ეტოცნენ და იმედი ჭქონდა სტეფანომ შეიტყო ყველაფერი, გრძობიერათ ჩამოართო მოსუტეულს სული; მაგრამ, თავის გაქნევასთან, მწარე დიმილით წაიღუდღულა:

— გვიანდა!

მართლაც რომ ჭრილობა საუთოგო იყო და რამდენიმე დღეს შემდეგ ბელადიოზმა განუტევა სული, იმ სხელის წარმოითქმასთან ერთათ, რომელიც ასე მკაცრი იყო, რომელსაც ასე თავგანწირული უგვარდა იგი.

ამ სამწუხარო შემთხვევამ ძელანსოლური გავლენა იქონია მსატკარი ქალის უკანასკნელ წლებზედა. თითონ იმისი მამა—იმისი მამა, რომელიც იმას ყველსეღ მაძეტეზულად უგვარდა, ვიდრე სტეფანო—მხელათ—და ეღიბსებოდა სოღმე თავის საყვარელ ქალისგან გულანდებულ ამ აღერს, და იმის გულანდებულ სიცილსა.

სეგდა მოტრული ტინტორელლო გარდაიცვალა 1590 წ. და მთელი ვენეცია მიაცალებდა მას სამარის კარამდისინა.

მიუსედევათ ამ თავის საშინელ მწუხარებისა, ტინტორელლომ მანც იმოღვენათ შეიკრიფა ღონე, რომ გადილო სურათი თავის განსკვენებული ქალისა.

საბრალო მამა! რა მწუხარებაში უნდა ყოფილიყო იგი იმ დროს, როდესაც ტილოზედ გადმოჭქონდა ის ფერ მიმერთალი, სინოცსლე მოკლებული თავი, რომელიც არა ერთსელ განისვენებდა მამის გულზედ მიყრდნობილი.

საბედნიეროთ, ტინტორელლო შეიმავრა საწმუნოების სიყვარულმა და იმან ოთხი წელიწადი კადვე იტოცნულა დიდის მწუხარებითა, მაგრამ აღუშოფოთველმა, იტოცნდა, რომ დამადაებული მალე შეჭერდა თავის საყვარელ ქალთანა.

გელის-ცინელი.

შ ე ნ ი შ ვ ა

გაზეთ „ივერიის“ დამაკვირდი, ნაკვესში და ნარეკვესში ხშირად ბუჭდავენ სოღმე ზატარ-ზატარ ლექსებს, აფორისმებს და ანდასებსა, რომლის ზოგერთ ამ ნაწარ-

მოებთ დამწერათ სარგის თმოგველის ჭსადინ და ამის სასელსა და გვარს ბუჭდავითაც აცხადებენ!

ბროსეს ხვეებით, *) ბაქრამის მოწმობით **) და თვით ჩემს სელში დაცულის ისტორიულის და ლიტერატურულის ცნობებით დამტკიცებულია, რომ სარგის თმოგველის თსუხულება დღეს ქართველებში და ქართულს მწერლობაში აღარსად არის დარჩენილი. ამ საგნის შესახებ არა ერთსელ უსაუბრიათ. 1878 წ. გაზეთ „ივერია-ში“ ბ. ზ. უმიკაშვილიც შეესო სარგის თმოგველის „დილარინის“ დაკარგვას და აღდგენის გამოც მოცნესა.

მკვლავ და ასლთა მწერალთა დამტკიცებით და გარდმოცემით ჩვენ ნამდვილად და ზედ მიწვენით ვიციოთ, რომ „დილარინი“ თითქმის იმავე დროსვე მაცემია გაქრობასა და აღგვასა, რა დროსაც იგი დაუწერია სარგის თმოგველს. ამ „დილარინის“ დევნულებს გამო თვით ჩასრუსამეტეკი მოწმობს თავის ზოგამში, რომ თამარ მეფე „დილარინამა“ აღაშოფოთაო. მავალითად: ემოუბარისა, მის მღულარისა დილარისაგან აღაშოფოთებულად. ჩასრუსამის ხვეების მეხებით ჩვენ უიჭვოდ ვრწმუნდებით, რომ „დილარინი“ თამარ მეფის ბრძანებით აღკრძალული უნდა ყოფილიყო, რადგანაც მასში გამოხატული ყოფილდა იმ დროის სამეფო მოსკლეთ მრავალი ისეთი სავქეები, რომლებსაც მჭიდრო გავეშირე ჭქონიათ იმ დროის სავქეთველს სამეფო წეს-წყობილებასთანა.

უნდა შევნიშნოთ, რომ „დილარინი“ თავის შინაარსით მეტის-მეტე მკაცრას მიდრეკილებით უნდა ყოფილიყოს დაწერილი, თორემ უამისოდ ამ რომანს იმ დროის სამეფო ზირნი ვერ აღკრძალავდენ, რადგანაც „დილარინის“ დამწერს სარგის თმოგველს ბრწვენივალე ადგილი უკავია სავქეთველს სამხედრო და საერო ისტორიაში. თამარ მეფის წინაშე ამას დიდი ადგილი უჭირავს და „ქართლის ცხოვრება“ ბრძანათა და მეცნიერთ მოცნენიებს. თამარის მეფობის ისტორიაში ვერ ნახავთ ერთ სამხედრო გამარჯვებითი ნაბიჯს, რომ მასში სარგისი არ ერთის. სარგისის შეილებივე იყენენ ივანე და ზაქარია ამირ სხასლარნი, რომელთა ქველთა მოქმედებით ქართლის შემტინე აღტაცებულია. სარგის თმოგველის გარდაცვალება ისეთი დანაკლისი ყოფილდა ქართველთათვის, რომ ამის სიკვდილის გამო მთელს სავქეთველს გარს უკლავია. ბაქრამის ხვეებით სარგის თმოგველი თმოგვის ევეკესიაში ასაფლავია.

მკვლავთაც და ასლაც ნათლათა სჩანს სარგის თმოგველის მწერლობის მოღვაწეობათა ცნობებიც. სარგის თმოგ-

*) ქართული ლიტერატურა 1844 წ. ბროსესი.

**) „ავაკაზი“ 1853 წ. დ. ბაქრამის სტატიები.

ველის თანამედროვე უკუდავი შოთა რუსთაველი ნათლად მოწმობს რეფისის ტუაოსანში, რომ „დილარიანი“ სარგის თმოგველმა დასწერა. მკვლევარნი:

„დილარეთის სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომილსა“. შოთა რუსთაველს გარდა ჩასწრუსძველი მოისსენებს „დილარიანსა“, ამის შესახებ ჩვენ სომ ზემოთ მოვიხსენიეთ. სარგის თმოგველს ანტონ კათალიკოზიცი მოისსენებს „წყობილ სიტყუობაში“ და სწერს, რომ სარგის თმოგველმა „დილარიანი“ დასწერა. ესევე მოისსენებენ მრავალნიც სსვა-და-სსვა ძველნი და ახალნი მწერლები და ველები ერთხმად და უტყვით აშკარაგებენ იმას, თუ სარგის თმოგველმა რა დასწერა. თუმიც სარგის თმოგველის „დილარიანი“ ძველადვე იქმნა ადრეადაჲლი, მგრამ მან მეორეაქვე საუკუნედის მინც მოაღწია და ხოლო ამ სსენებულ საუკუნის დამლევს ბაგრატიანთ ოჯახში დაიკარგა. დაკარგვა ბრალდება არტანუჯელს გინძე ჰეტრე ჯანაძეს. ეს ის ჯანაძეა, რომელმაც რეფისის ტუაოსანნიც გადააკეთა თავისებურათა და მით დიდად დაამახინჯა. ჰეტრე ჯანაძე ამ საუკუნის დასაწყის ქართველ ბატონიშვილებს რუსეთში გადასწავა და იქ ამან ქართველი ბატონიშვილების თსოგნით ახალი „დილარიანი“ დასწერა. ეს ახალი „დილარიანი“ ვრცელი წიგნია, დაწერილი უზოზათ, შიგა და შიგ ლექსებიც მოიხრეგება. ამ წიგნს ვრცელი წინასიტყუება აქვს და მასში ჯანაძე დაწერილებით მოგვითხრობს, თუ „დილარიანი“ როდის დაიკარგა და ან მან რა აზრით აღადგინა. ამ წიგნის შესახებ მას უაღვიმეც ქქანდა გამართული „კალმასობის“ დამწერ იოვანე ბატონიშვილთან.

მაშასადამე «დილარიანიდამ» რამე ადგილების ამოღება „ივერიაში“ ბუჭდვა და ამ ნაწერების ბოლოზე სარგის თმოგველის სახელის მიბუჭდვაც შეცდომა უნდა იყოს. ასეთივე შეცდომა მოუვიდა ბ. დავ. ჩუბინოვს როდესაც მან ქართული ქრესტომატია დაბუჭდა და შიგ «დილარიანიდამ» ერთი ადგილიც დაბუჭდა. ჩუბინოვიც სარგის თმოგველს აწერს იმ „დილარიანის“ დაწერას და როცა თვით წიგნს ვითხულობთ, მაშინ შიგ კი გხვდებით მრავალი ისეთი სახელწოდებანი და ნივთები, რომლებიც მეორეაქვე საუკუნეში მოიგონეს ევროპელებს.

ამ შენიშვნების შემდეგ «ივერიის» ლიტერატორ და მცოდნე თანამშრომელებს აღარ ეპატიებათ, რომ ქართულს მწერლობაში ასეთ შეცდომებს მსუველებმა მისცენ.

შეიძლება, რომ „ივერიის“ დამკვირდო, ნაკვეს—ნარკვესში „დილარიანიდამ“ კი არ ბუჭდავენ სარგის თმოგველის აფორიზმებს, ანდაზებს და სსვებს, არამედ რომანი „ვისრამიანიდამ“. უნდა გავასსენო „ივერიის“ პატრივრემულთ ლიტერატორ-თანამშრომელებს, რომ ესეც საკმარისი გვარიანი შეცდომა არის, რადგანაც „ვისრამიანი“ სარგის თმოგველმა კი არ დასწერა, არამედ სხარსულის ენი-

დამ გადმოსთარგმნა დავით საათაბაგოელმა. ამ საგანს ცხადათ მოწმობს და ამტკიცებს მეორეაქვე საუკუნის მწიგნობარი არსიანდრიტი გამრეველი. ამ არსიანდრიტს გარდა მოისსენებს აგრეთვე იმავე საუკუნის მწიგნობარი ტრიფილე არსიანდრიტი, რომ რვისრამიანი“ დავით საათაბაგოელმა სთარგმნა.

ამით გარდა ბ. დ. ბაქრაძის სელში ინახება ერთი ძველი კატალოგი სადაც ასევეა მოხსენებული, რომ „ვისრამიანი“ თარგმნილი დავით საათაბაგოელისაგანა. მე მაქვს ერთი ძველი კატალოგი, რომელიც შედგენილია მეორეაქვე საუკუნეში და ამ კატალოგიმაც ასევეა მოხსენებული, რომ „ვისრამიანი“ თამარ მეფის დროს დავით საათაბაგოელმა სთარგმნა. მაშასადამე აქ განმარტვა აღარ არის საჭირო იმის შესახებ, თუ ვისრამიანი ვის უთარგმნია და ანუ სარგის თმოგველს რა დაუწერია. მე მგონია, რომ ამ გვარ ცნობების შემდეგ გვარიანი შეცდომა უნდა იყოს ის, რომ დავით საათაბაგოელის ვისრამიანიდამ პატარ-პატარა ადგილები ბუჭდონ „ივერიაში“ და ბოლოზე სარგის თმოგველის სახელი მიწერონ ხოლმე. უტყველია, რომ დღეის შემდეგ ამ საგანს პატარა სიფრთხილით მოეპურებანი და ისე დაცვენ ძველთა მწერალთა თხუზულებთა სახელებს, როგორც რიგი და წესია.

ბ. ბ-ბ

ლითონი

სახალხო ლექსები

(ზემო იმერეთში შეკრებილი სოსიოვასგან)

ნეტა რა დედამ გავზარდა
ეგეთი მშენიერიო!
ზღილი, ქველ-გმირი, მამაცი,
ბრძენი და გონიერიო!
გისდება პტუელი მხარ-ბუჭი,
წვრილი წერწეტი წელიო;
ტურფა სასესუდ თვალ-წარბი,
შავი უღვაში, წვერიო!
მოამისთვის თავის გაწირვა,
საჭირსახულო დღენიო;
იარაღთ ჩავიპულაბა,
ცქვიტი მოვინავი ცსენიო...
ნეტა რა დედამ გავზარდა
ეგეთი მშენიერიო!
მოყვარე ღმერთმა გიცოცხლეს,
და ატაცილეს მტერიო!

კახეთის
აღ
მ. ჩხი
იძე

რატომღაც გამოვიპარე,
 გადმოვეყე ქარის ქროლასა;
 მწარე ამიდი დაგვიდგა,
 ვერ მოვეფარეთ გორასა.
 მოუხდათ მომებს ჩხუნკაღი—
 ერთი მეორეს ჭორავსა,
 და ღმერთმა ნურვინ შეგასწროთ,
 მეგობრებო შუა ბრძოლასა.

გამოცანები

1

არსი, მარსი, უარსი,
 სხვა უარსი არსად არი;
 არ არიან უმისონი:
 არც ღრუბელი, არცა-მთანი;
 არა ნება მის მიერი—
 განგვეშორეს არსად არი.

2

ამიერიდგან ნაკურთხი,
 მადლა დგას მთაზე ბერია;
 ზამთარ და ზაფხულ მისს ფურცელს
 არაღეს არა კნუბია.
 მასაც მოუვა ერთი დღე,
 თაყვანს სცემს ყველა ერთი;
 ის დღე ჩვენც გაგვესრდება—
 ხელში გვაძლევენს ბერია.

ჩვენ ინტელიგენტებს

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—შუა უძევს დიდი ზღვარი.
 შ. რუსთაველი.

ყური უგდე თქვენს მსჯელობას, მსურდა მსმელა
 ქართულია,
 თუმც მომესმა რამდენიმე შიდა რუსული ჩართულია.
 «ნეუყელი», «ნემოქეტ ბიტა» დომსალივით გართულია,
 გავს ისეა: ქართულს ენას—რუსული აქვს სართულია.

არეულად ქართულ-რუსულს ბრუნდ-მართალი ყველა
 ამბობს,
 „ეიბოლ“ და „ერომე შუტკი“-თ ქართულ ბასს მუდამ
 ამკობს;

რო ჭკითსო კი პატრიოტებს, ქადაგებს და მით ამა-
 ყობს,
 მაგრამ არე-დარეითა ვერ მოგვიტანს სანგძლივ ნაყოფს.

მაგალითი თვითონ თქვენ სართ, არ გეთქმებათ ამის
 ვარი,
 ჩვენსა სწულ ქართულ ენას—დასშული აქვს თქვენში კარნი,
 რუსულს სწულაბთ, თუ ისიც გრძნობს თქვენთან აქვს
 თავს-საფარი,
 „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—შუა უძევს დიდი ზღვარი“.

მე კერძოთ, კი ამას გთხოვთ არ ინებოთ ჩემზე
 წერომა,
 გული მტკივა ენისთვის, მსურს რომ ესწოთ მისთვის
 შრომა,
 გასაგიწი აქ რა არის, მეც ვსცადე ერთი ზომის,
 თქვენ კი მსწავლულთ-ლიტერატორთ მეტი გაძევთ ვალი*)
 სიამა.

სანდრუა ბიჭი.

(წრ. თომიძე)

შეფულილი სიუპარულიზაბან **)

ღრამა 5 მოქმედ. თსზ. დონ-მანუელ ტამისი და ბაუსისა

აქტი V

მეფე და ალღარა.

მეფე. რა რიგათ გამოიცვალა! შეიძლება კაცმა
 იფიქროს რომ იგი ერიდება ჩემს შეხვედრას...

აღდაწა. მს თქვენ თვითონ შენიშნეთ?

მეფე. რამდენიმე დღეა.

აღდაწა. ულმობელი გულის დაჯერება?

მეფე. მე აქ ცოტა ხნით მოვსულვარ—ჩჩევა
 მიცდის. მე ძალიანა ვნაღვლობ, როცა თქვენ არა
 გხედავ ხოლმე; ნამდვილად მკედარს ვემგზავსები.

აღდაწა. დედოფალი როდის აპირებს აქედგან
 გასვლას.

მეფე. მალე. ეხლა ამაზე გვექნება თათბირი. არა
 მგონია თქვენ ჩემზე დონ ხუანას შესახებ ექვიანობ-
 დეთ.

*) მე ბანკის ვალზე არ მოგახსენებთ.

სანდრო ბიჭი.

**) იხილეთ „თეატრი“ № 14.

აღდაჩა. ახლა რა იქნება რომ კიდევ ვეჭვიანობდე? ღიან მე ძალიან ვეჭვიანობ.

მეფე. მგრე გიყვარვართ?

აღდაჩა. მიყვარხარ, მიყვარხარ ძალაუნებურად.

მეფე. ძალაუნებრად, უმადლო? რა არ ჩამიღენია თქვენი გულის მოსაგებად. თქვენ სასახლეში გინდოდათ დაბინაება, მე ესეც შეგისრულეთ. თქვენი გულისთვის რაც შეიძლება უნდა დავაჩქარო დედოფლის აქედგან გაძევება. მე მიყვარხართ თქვენ და არ ძალ-მისს კი ვისარგებლო იმ უფლებებებით, რა უფლებებებსაც მანიკებს ჩემი თქვენდამი სიყვარული და სამეფო გვირგვინი. მითხარით, თქვით თქვენი სახელი და გპირდებით—რომ დაგებრუნებთ უწინდელ თქვენ ღირსებას, რა ლაქაც უნდა ეცხოს თქვენს სახელს. თქვენი ამაყი ქცევანი მოწმობენ თქვენს დიდებულს ჩამამელობას. არ არსებობს ისეთი ლაქა, რომელიც არ შეეძლოს მეფის მოწყალებას მისი ამოყვანა, მე კი, რომელიც ასე გეთაყვანებით, მეფე ვარ ისპანიისა. ჰოველი კუთხენი ჩემი სახემწიფოისა თაყვანებით მოისმენენ თქვენ ბრძანებას და რომ აღსრულდეს თქვენი წადილი, უთვალავი მონანი გაირჯებიან თქვენი გულისთვის...

აღდაჩა. მე მეშინიან... თქვენც ხომ დედოფალივით ტკუაზე არ შეიშალეთ?

მეფე. მეც ისევე ვეჭვიანი ვარ, როგორც ის; მე სუყველას ექვით ვუტკერი ვისაც კი თქვენს ახლო დავინახავ, და მეტადრე იმას, რომელიც სასტუმროში იდგა თქვენს ახლო; ამ კაცმა ჩემზე ხმალი ამოიღო და თქვენა და დედოფალმა კი დამიფარეთ.

აღდაჩა. მეფე თქვენ ხომ დამპირდით, რომ იმ კაცზე არ ვიფიქვიანებო.

მეფე. იმისთვის ვეჭვიანობ—რომ თქვენ თვითონ მითხარით: ის სრულიად თქვენზე არა ფიქრობს, იმას სხვა უყვარსო.

აღდაჩა. ამას ეხლაც ვიტყვი, თუ ამითი დაკმაყოფილდებით.

მეფე. მაპატიეთ, აღდაჩა! ჩემი შიში, იქნეულობა იქიდგან წარმოსდგებიან, რომ შეუძლებელი საქმეა თქვენ განახოს ვინმე და მნახველს არ შეუყვარდეთ.

აღდაჩა. მოიგონეთ, მეფე—რომ თქვენ წასვლა გიგვიანდებათ.

მეფე. მითხარით: გიყვარვართ თუ არა?

აღდაჩა. ბანა გამეორება საჭირო ლა?

მეფე. როდის დამაჯერებთ—რომ მე თქვენ გიყვარვართ?

აღდაჩა. თქვენ არა სთქვით დედოფალი მალე წავაო...

მეფე. ჩქარა წავა, ჩემო ძვირფასო: მე იმას არ დავაგვიანებ. (მიდის)

სცენა VI

აღდაჩა, მემრე ღონ ალვარი.

აღდაჩა. და ამასაც ამბობდი, ორგულო, რომ ჩემი ქმარი მიყვარსო? რა მალე მოგწყინებია იგი!.. საზიზლარო შთამოებავ! შენ რაიმე დიდებულის, რაიმე მუღმივის გაკეთების ნიჭს აცდილი ჰყოფილხარ. მარტო ჩვენ წინასწარმეტყველის ასულთ შეგვიძლია სიყვარულიც და სიმძულვარც.

ღონ ალვარი. (შემოდის მარჯვენა კარებიდან) მე თქვენ გეძებდით, სენიორა!

აღდაჩა. ღლეს მეძებდით, გუშინ კი მარიდებდით თვალს?

ღონ ალვარი. ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ. თქვენ აქ რას აკეთებთ?

აღდაჩა. სამაგიეროს უხდი.

ღონ ალვარი. მის?

აღდაჩა. დედოფალს.

ღონ ალვარი. მე გავიგონე, რომ მეფეს გადაუწყვეტნია დედოფლის დატყვევება. თქვენ გინდათ მეფის საყვარელი გახდეთ, თქვენ შურის ძიებას ეძიებთ, თქვენ ცბიერებთ და მე სუყველა ამას მიხვედრილი ვარ, და თქვენ განძრახებას მალეც დავარღვევ.

აღდაჩა. ღონ ალვარი!

ღონ ალვარი. მე ნუ მარწმუნებთ, მე მიხვედრილი ვარ თქვენს შეცდომილებას. რა წყაროებიდგან იცით, რომ მე დედოფალი მიყვარს?

ღონ ალვარი. თქვენზე მაგას ვინა ფიქრობს? მამიჩემის გულისთვის სამაგიეროს უხდი იზაბელას ქალიშვილს, ქრისტიანების დედოფალს უხდი სამაგიეროს მთლად ჩემი ერის გულისთვის.

ღონ ალვარი. თქვენ განძრახვას მე დედოფალს შევატყობინებ.

აღდაჩა. მე მარტო მის დაღუპვას მანლოვებს.

ღონ ალვარი. სენიორა, თქვენ თუ მე როდისმე გყვარებივარ, დაანებე ამ უღირს განძრახვას თავი! მოშორდით ამ სასახლეს, თორემ აქ დიდი შეურაცხობა მოგელით...

აღდაჩა. ჩემზე ტყუილათა სწუხართ, რაინდო. მეფეს არც გაუმარჯვინა და ვერც გაიმარჯვებს ჩემს გულის სიმტკიცეზე.

ღონ ალვარი. რისთვის ენება ეს უსამართლო აჩრდილი პატიოსანს სულს?! თუ ოდესმე გულში გაი-

ტარებთ სინანულს, მაშინ მიჰხედებით თქვენგან განძრახული საქმის სიბოროტეს. ეს განძრახვა მოჰმზამავს თქვენს ყოველ კეთილ საქმეს.

აღდაბა. თქვენში მე მიყვარდა ქრისტიანი, ვიყვარებდი სუველას თქვენგანს, უარს ვყოფდი ჩემს ღმერთს და ვეთაყუებოდი თქვენსას...

ღონ ალგარი. ღაფიქრდით, სენიორა, თქვენ გტანჯავთ ერთი ოცნება. საცოდავმა დედოფალმა კი უნდა ივალალოს—თუ ვინცოდაა შეიტყო ლალატი იმ კაცისაგან, რომელიც ასე ძალიან უყვარს...

აღდაბა. მითომ დედოფალს უყვარს თავისი ქმარი?

ღონ ალგარი. თქვენ გარდა ამას ვინ უარყოფს? ბანსაჯეთ ყველაფერი პირ მოთნეობით. მე მრწამს რასაც თქვენ მეუბნებით, მჯერა რომ თქვენ ღირსი ხართ ჩემგან პატივისცემისა. კარგი, გავიქცეთ აქედგან ერთად, მიიღეთ ქრისტიანობა და სხვა კიდევ რა?—მე თქვენი მეუღლე გავხდები... ხვალვე გავიღეთ აქედგან... მე რალას ვამბობ: ხვალვე მეტი? დღესვე, საჩქაროთ... ამ წაშში.

აღდაბა. ბანა ვერა გრძნობთ, უბედურო, რომ ყოველი შენი სიტყვა ხანჯალისაებრ ესობა ჩემს გულს! ბანა თქვენ ვერ მიხვედრილხართ ამას, რომ თქვენ უფრო და უფრო მარწმუნებთ თქვენს დედოფლისადმი განუზომებელ სიყვარულში. იმის მიზეზით თქვენი თვალეები ცრემლით ინამებინ. იმის მიზეზით გითრთოლავთ ხმა, იმის მიზეზით რბილდება თქვენი სიამაყე და ამის შემდეგ თანხმდებით გაჰხდეთ მეუღლეთ ჩემისთანა საზიზღარი არსებისა! რომ იგი ააცილოთ უბრალო უკმაყოფილებასაც კი, თქვენ არა ჰზოგავთ თქვენს მხედრულს დიდებას, რანდისა პატივს, თქვენ სისხლსა, თქვენ სიცოცხლეს და ამის შემდეგაც გინდა მე გული მომიგოთ? რა მისნებით არის იგი დედაკაცი შექურვილი, რომ მან დამოირჩილა აგრეთი თქვენი თაყვანება? და მე, მე მიყვარხართ თქვენ!... წადით, მამშორდით.—მე მინდა ვიცრემლო, და თქვენ წინაშე სიკვდილი უმჯობესია ტირილზე.

ღონ ალგარი. ცრემლს, რომელსაც თქვენ დაჰღვრით, იქნება საბუთი თქვენი პატიოსანი გულისა. თქვენ უკეთესი ხედრის ღირსი ხართ! გიმეორებ: წავიდეთ, აღდარა, თქვენი იქნეულობა სრულიად უსაფუძლოა.

აღდაბა. მაჰხედეთ, აქა სძევს წიგნი, წმინდა სახარება. ამბობენ არც ერთი ქრისტიანი ამაზე ტყუილად არ დაიფიცებო (წიგნს სტოლიდგან იღებს) დააწყეთ ამ წიგნზე ხელები და დაიფიცეთ რომ თქვენ არ გიყვართ ღონა ხუნა. (გადაშლის წიგნს და მიაქვს ღონ ალგართან)

ღონ ალგარი. (თავისთვის) ღმერთო ჩემო! (მალლა) იგი როგორც დედოფალი მიყვარს.

აღდაბა. დაიფიცეთ—რომ ის ისე არ გიყვართ, როგორც დედაკაცი.

ღონ ალგარი. თქვენ არა გჯერათ?

აღდაბა. ღიხ, არა მჯერა.

ღონ ალგარი. თქვენ უმიზეზოთ შეურაცხყოფთ.

აღდაბა. დაიფიცეთ!

ღონ ალგარი. (თავისთვის) შემინდვ, ღმერთო მაღალო! (დაადებს ხელს) თუ თქვენა გნებავთ...

აღდაბა. დაიფიცეთ!

ღონ ალგარი. მთიცამ—მაგრამ, არა (უკუდგება რელიგიური რწმუნებით შექურვილი).

აღდაბა. შუი თქვენ! ვუი დედოფალს! (დაჰკეცამს წიგნს და დასდებს იმ ადგილას, საიდგანაც აიღო)

სცენა VII

იგინიე და დედოფალი, მერე მეფე.

დედოფალი. სადა ხარ აქამდის, ჩემო საყვარელო ბეატრისა? შთუთ თქვენმა ნათესავმა ღონ ხუნამანუელმა არ გამოგიშოთ.

აღდაბა. (ცდილობს დაჰფაროს თვისი მღვლეარება) არა, მე ვხლა მოვიწოდებ თქვენი დიდებულების ნახვა.

დედოფალი. ღმერთი იყვეს თქვენი მფარველი, ღონ ალგარო.

ღონ ალგარი. თუ თქვენი დიდებულება ნებას მომცემს...

დედოფალი. თქვენ რისთვის მიხვალთ? მე ყოველთვის მოხარული ვარ, როდესაც ჩემი ერთგულნი ჩემს ახლო იმყოფებიან ხოლმე.

აღდაბა. (თავისთვის) თვითქო განძრახ უნდა ჩემი შეურაცხყოფება.

დედოფალი. (ღონ ალგარს) მე შეტყობილი მაქვს—რომ თქვენ საუკეთესოთა სთამაშობთ ჯანდრაკზე. მკადოთ თქვენი ხელოვნება. (მიუჯდება სტოლს, რომელიც ავანსცენის მარცხენა მხარეზე დგას და რომელზედაც ჯანდრაკის ფიცარი სდგას)

ღონ ალგარი. ნუ გავიწყდებათ, დედოფალო, რომ ამ გვარი პატივისცემის ღირსი არა ვარ.

დედოფალი. ძმარა. ნუ სწუხართ. მე მეტი თავაზიანობა მეგავრება. დაივიწყეთ რომ მე დედოფალი ვარ და არ დამზოგოთ.

აღდაბა. (თავისთვის) რა თავდამდაბლებაა!...

დონ ალკარა. (თავისთვის, როდესაც დაჯდება) რა მწარე ხეცდრია!

ალდარა. (მეფეს დანახავს; თავისთვის) მეფე!

დელოფალი. (როდესაც თამაშობას აპირებს ალვართან) მე ამის იმედი მქონდა. (თამაშობს ალვართან).

მეფე. მე ძალიან მესიამოვნა, დონა ხუანა, რომ ამისთანა პატივისცემის ღირსად გავიხდია კაპიტანი.

ალკარა. პატივისცემა, რომლითაც დედოფალი მამბედნიერებს...

დელოფალი. დამსახურებულია თქვენგან. პეთილ-შობილება თქვენი ჩამამაელობისა ღირსათა გხდინა ჩემს ახლო იმყოფებოდეს; თქვენი პატიოსანი გული ხომ უფრო ნებას გაძლევს. მეგობარი დიდებული სარდლისა შეიძლება ჩვენი საკუთარი მეგობარიც იყოს.

მეფე. (უცქერის თამაშობას) ცუდათ იწყობთ, დონ ალვარო...

დელოფალი. იგი შეშფოთებულია. ან იქნება განგება მშველის რომ მე მომაგებინოს.

მეფე. (მიდის ალდარასთან, რომელიც სცენის მეორე მხარეზე დგას და ჩუმად ეუბნება) მე არ მოველოდი ამ გვარ ბედნიერებას...

ალდარა. (ჩუმად) მოვილაპარაკოთ, მოვილაპარაკოთ ერთი ერთმანეთის სიყვარულზე.

მეფე. (ჩუმად) ბოლოს როგორც იყო დედოფალმა ჩემს უკან დევნას თავი დაანება ჩემდა საბედნიეროთ.

ალდარა. (თავისთვის) სხვისკენ ჰქრის მისი გონება. (ლაპარაკობენ ჩუმად)

დელოფალი. მე გავიგონე, კაპიტანო, რომ თქვენ საარაკო ვაჟაკობა დაგმისახურებიათ ომში ჩერინოლთან—გულ და გულ თვით გერკოგ-ნემურთან გიბრძოლიათ,

დონ ალკარა. მამაცი მერმარი! მარტო დიდებულ სარდლის ხმაღს შეეძლო მისი დაძლევა.

ალდარა. (ჩუმად) დედოფლის შესახებ რჩევამ რა გადასწყვიტა?

მეფე. (ჩუმად) მისი დატყვევება გადაწყვეტილი საქმეა.

დონ ალკარა. დედოფლის მომავალი მაშინებს... რა უნდა ვქნა?

დელოფალი. თქვენ გულ-მავიწყობთ, დონ ალვარო!

დონ ალკარა. მამატიეთ. (თამაშობენ)

მეფე. დამინიშნეთ ადგილი, სადაც მარტოდ-მარტო შეგვეძლება მოვილაპარაკოთ.

ალდარა. (უცქერის მოთამაშებებს და თავისთვის ამბობს) დედოფალი რა რიგ შესცქერის იმას!

დელოფალი. (თავისთვის) იგი არ ექვიანობს!

მეფე. თქვენ მე ყურს არ მივლებთ, ალდარა.

ალდარა. აუი ყურს გივლებთ, მეფე! (თავისთვის) რა ბედნიერია იგი ესლა!

მეფე. თქვენ კაპიტანს თვალს არ აშორებთ...

დელოფალი. (თავისთვის, მეფეს უცქერის) მეფე სულ აქეთ იცქირება...

ალდარა. არ იქნება ურიგო რომ თქვენ დონ ალვარზე ექვიანობდეთ.

მეფე. თქვენ ხუმრობთ?

ალდარა. ნამდვილად... არ გეხუმრებით.

მეფე. იცით, სენიორა, რომ მე ამას ვერ დაეთმობ.

დელოფალი. (მეფეს უცქერის და თავისთვის) იგი მივლევარებს!.. მაჯავრებით ლაპარაკობს!

დონ ალკარა. (ალდარას თვალს გადააქვებს) აქ რაღაც შეთქმულობა მზადდება! ამ დედაკაც სუყველაფერი შეუძლიან.

ალდარა. ამას მე ფიქრათაც ვერ წარმოვიდგენდი. მე მეგონა რომ ამას ჩუმად უყვარვარ მეთქი! დღეს სიყვარული გამოიმცხადა.

მეფე. (მეფე ვეღარ მოითმენს, მივა ალვართან და მაღალ ხმით ეუბნება) გეფიცები ღმერთს!..

დელოფალი. რა მოგივიდათ? (წამოდგება)

ალდარა. (ჩუმად მეფეს) თავი შეიკავეთ.

მეფე. არაფერი, არაფერი—გაავარძელებთ თამაშობა.

დელოფალი. (თავისთვის, სიხარულით; ისევ დაჯდება) რა მკაცრად უყურებს იგი კაპიტანს ნეტა ხომ არ ექვიანობს?!

დონ ალკარა. (თავისთვის) ალდარა მღუპავს მე.

მეფე. (თავისთვის) თავი ვერ შემიმავრებია.

ალდარა. მეფე, მეერიდენით უსიამოვნებას. სხვა შემთხვევა იპონეთ და იგი ისევ იტალიაში დააბრუნეთ.

მეფე. მხლავე! (მივა სტოლთან და თამაშობას უცქერის)

ალდარა. (თავისთვის) სამაგიეროს გადასახდელად ეს ცოტაა კიდევ—რომ იგინი ერთმანეთს დაშორდენ.

მეფე. რას შერებთ, დონ ალვარო? თქვენ თამაშობა გეშლებათ. მე ვფიქრობ რომ მხედრები დიდებული სარდლისა არც ერთს საშუალებას არ ითაკილებენ ოღონდაც კი იგინი გამარჯვებულნი დარჩნენ; ხმები დადის დიდებულ სარდალზე, რომ ეს რამდენათაც ხარბი და პატივის მოყვარეა, იმდენათ კარგი მეომარიაო.

დონ ალგარი. ეს რითი მტკიცდება?

მეფე. იმით რომ ისპანიის ოქრო ბრქვიანავს, მაგრამ გონზალვის შესანიშნავი ანგარიშები კი ისე არა ბრქვიანავენ.

დონ ალგარი. ბონზალვი, როგორც მხედარი, თავის ანგარიშს კალმით კი არა, ხმლითა სწერს.

მეფე. მის პატივ-მოყვარეობა კი მტკიცდება მის სურვილით—გახდეს დაპყრობილი მიწების მეფეთ.

დედოფალი. (თავისთვის) ცდილობს რაიმე უკადრისი სიტყვა ათქმევინოს.

დონ ალგარი. ის მიწები კასტილიის მეფეს დონფერდინანდს ეკუთვნის. სტყუის ის ვინც გონზალს ლალატსა სწამებს.

მეფე. ბეფიცები ღმერთს! მინ სტყუისო, რა სთქვი შენ? (დედოფალი აღგება)

დონ ალგარი. ჩემი სიტყვები თქვენ დიდებულეებს არ შეეხება.

მეფე. საკმარისია! ერთი აღერსიანი სიტყვა უთხრა თავ გადასავალის მძებნელებს, რომ ამ შედეგამდის მიახწევინო.

დონ ალგარი. (თავისთვის) ამას ამასთან მეუბნება!

მეფე. იმისთვის რომ ამას შეეხედეთ მოწყალეების თვლით, გააბედნიერეთ ჩვენი ყურადღებით, ეს სიცრუევსა გეწამებს და შეურაცხყოფს საჯაროდ.

დონ ალგარი. (თავისთვის) რა ურცხობაა!

დედოფალი. (თავისთვის) საწყალი კაპიტანი!

ალდარა. (თავისთვის) დეე ეგეე ჩემსაებ იტანჯოს.

დონ ალგარი. მეფე...

მეფე. ბაჩუმდი! მე სამ დღეს გაძლევ ვადას და ამ სამ დღის განმავლობაში აქედგან უნდა გახვიდეთ. დაბრუნდით იტალიაში და სასიკადალო სარდალთან სამსახურისთვის საჩუქარს მიიღებ.

დედოფალი. (მომეტებული კმაყოფილებით) ამას მე მაშორებს!

დონ ალგარი. ამ სამ დღეში გავალ მე აქედგან, განდევნასაც ავიტან, მაგრამ იმ სიტყვებისთვის—რაც მე თქვენ დიდებულებას მოვახსენე გონზალოს, საჩუქარს არ მოვსთხოვ. მისაც ნამდვილათა სწამს და იცვამს სათნოებას—ის ჯილდოს თვის არსებაში უნდა ეძებდეს, თქვენ მე თავ გადასავალთა მეძიებელი მიწოდეთ, მართალი ბძანეთ. ჩემი თავ-გადასავალი აღნიშნულია ჩემს სხეულზე მავრებისა და ფრანკულების

ხმლების წყალობით. მე მყევლით თქვენს ჩემდამი მოწყალეობას, მეც ამის შეუხედავთ მზათა ვარ და-გიმტკიცოთ, რომ მე თქვენთვის მადლობა ჩემი სიცოცხლით ვადამიხდია. ღმერთმა ბევრი კეთილი საქმეებით ააყვავს თქვენი დღენი. და თქვენ, დედოფალო, ზეცამ დედამიწაზედ მოგანიჭოთ ის სიხარული, რაც სიხარული მომზადებულია თქვენთვის ზეცაში! (წავა)

ალდარა. (თავისთვის) მტრულად მაინც შემოეხედნა ჩემთვის.

დედოფალი. იგი თქვენი განდევნილია, მეფე... მომეცით ნება თქვენი სახელით მოუტევეთ მას.

მეფე. მე ისეც დაჯილდოებულია—რომ ცოცხალი გავიდა აქედგან.

დედოფალი. თქვენ უსამართლობას და უღმობელოებას იჩენთ. მე ვეთანხმები მაგვარ თქვენ გადაწყვეტილებას.

მეფე. და აბა გაბედეთ ჩემი გადაწყვეტილების განუქმება.

დედოფალი. მე გთხოვ ამას. ბეატრისა, თქვენცა სთხოვეთ.

მეფე. ტყუილად! მე ჩემი სურვილი უნდა აღსრულებასში მოვიყვანო (მიდის)

დედოფალი მეფის განრისხებას სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს. იმან განძრახ შეურაცყო დონ ალვართან გონზალვი, განა ბეატრისა?

ალდარა. (მცბიერებით) მეგონი რომ მეფე ეჭვიანობს.

დედოფალი. თქვენც მიხედით? მეც მაგასა ეჭვიანობ.

ალდარა. (თავისთვის) ესეც ამასა შიშობს... ძიდეე რაღა დამტკიცება საჭირო?...

დედოფალი. უნდა მას აუხსნა—რომ იგი უსაფუძვლოთ ეჭვიანობს.

ალდარა. (თავისთვის) იგი თავის თავათა სტყდება. ძარგია, დეე გაიდევნოს იგი? (გაევა).

ს. ნ—თ—ქსა.

(შემდეგი იქნება)

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გასეთი

„თეატრი“

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით რეგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს სუთი (5)

მანეთი, ნასვეარის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

საადგომო განცხადება

ილივო საეაროვის მადარიაში

არწრუნისეულ ქარვასლაში, თეატრის შესავალ კიბებთან—მარჯვნივ

მუდმივ ისეადება ყოველ გვარი საკუსკეული
და

საადგომოთ გვექნება გასასეიდათ საუკეთესოდ მომსადებული

პირინები

(მოხარული და მოუხარშავი)

აგრეთვე საუკეთესო პასაჰი. მსურველთ ამ თავითვე შეუძლიანთ დაიკეთონ რა
კემოს ზასკაც სურთ.

ისხდება იაზად

(2—2)